(1998)

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების საპარლამენტთაშორისო ასამბლეის საბჭოს **<u>დადგენილება</u> აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების მიმდინარეობის შესახებ**

მხედველობაში იღებს რა საქართველოს პარლამენტის დელეგაციის შეშფოთებას აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების საქმეში და ამ კონფლიქტით გამოწვეული სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტაში აშკარა პროგრესის არარსებობით,

აუცილებლად მიაჩნია გააქტიურდეს მოლაპარაკების პროცესი კონფლიქტის ყოვლისმომცველი მოწესრიგების, ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში უსწრაფესი დაბრუნებისა და აფხაზეთის, საქართველო, პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის მიზნით, აგრეთვე

ადასტურებს ამ საკითხზე თავის წინანდელ გადაწყვეტილებებს, საპარლამენტთაშირისო ასამბლეის საბჭო

ადგენს:

1. მიმართოს კონფლიქტში მონაწილე მხარეებს მოწოდებით მიაღწიონ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და რუსეთის ფედერაციის ხელშეწყობით მნიშვნელოვან შედეგებს კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების, პირველ რიგში ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში ორგანიზებულად და უსაფრთხოდ დაბრუნებისა და აფხაზეთის, საქართველო, პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის საკითხში.

2. სთხოვოს თანამეგობრობის წევრ-სახელმწიფოებს ხელი შეუწყონ "აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხის შესახებ~ დსთ-ს წევრსახელმწიფოთა საპარლამენტთაშორისო ასამბლეის საბჭოს 1997 წლის 8 ივნისის დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებას.

ასამბლეის საბჭოს თავმჯდომარე **ე. ს. სტროევი.**

სანკტ-პეტერბურგი, 1998 წლის 28 თებერვალი.

(Сборник документов, касающихся вопроса урегулирования конфликта в Абхазии, Грузия, принятых в период 1992 по 1999 г.г., составитель Г. Уридия, Тб., 1999, გვ. 103, საკუთარი თარგმანი)